

ქალი და სათეატრო ხელოვნება (ნინო ხარატიშვილის რომანის „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ სასცენო ადაპტაცია ჰამბურგის „თალიას“ თეატრის სცენაზე)

თამარ ცაგარელი

საკვანძო სიტყვები: დრამატურგია, ქალი და სათეატრო ხელოვნება

XX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა პოსტმოდერნიზმად წოდებული ფართო კულტურული მიმდინარეობა, რომელიც გაიგივდა „დალილი“, „ენტროპიულ“ (გაურკვეველ) ეპოქასთან, სადაც მეფობს ესქატოლოგიური („სამყაროს დასასრული“) განწყობილება. მის მთავარ მახასიათებლად იქცა ესთეტიკური მუტაცია, სტილების ეკლექტური შერევა. როგორც ცნობილია, პოსტმოდერნისტული ესთეტიკის სპეციფიკა გულისხმობს კლასიკური ტრადიციების არატრადიციულ გააზრებას, უგულებელყოფს ინტელექტუალურ კარჩაკეტილობას და თვითმიზნურ ექსპერიმენტებს. ხელოვნებისგან იგი მოითხოვს ემოციურობას, გრძნობებზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტების გამოსახვას. ამ მიზნის მისაღწევად ყველა ხერხია მისაღები, მათ შორის ტექნიკური მიღწევების გამოყენებაც.

„პოსტმოდერნისტული კულტურის პირველი და უმთავრესი პრინციპი ე.წ. ორმაგი კოდირებაა. ორი განსხვავებული, შეუსაბამო ენობრივი კოდის (უფართოესი გაგებით), დისკურსის, სტილისტიკის თანხვედრა და შერწყმა. ეს ტერმინი ბრიტანელ არქიტექტორსა და ხელოვნებათმცოდნეს, ჩარლზ ჯენკსს ეკუთვნის, რომელიც აღნიშნავდა, პოსტმოდერნისტული არქიტექტურა კლასიკური ტრადიციისა და მოდერნისტული ავანგარდის შერწყმას ემყარებაო. ხელოვნებისა და კულტურის ამგვარ სამომავლო ტენდენციებზე ჯერ კიდევ ფილოსოფიური ჰერმენევტიკის

მამა ჰანს-გეორგ გადამერი მიანიშნებდა. მომავალმა ხელოვნებამ უნდა შეძლოს და კლასიკა თანუწყოს ავანგარდსო. პოსტმოდერნიზმიც სწორედ ამ ორმაგი კოდირების ენაზე მეტყველებს, ერთდროულად კლასიკისა და ავანგარდის ენებზე; მაგრამ „ორმაგი კოდირება“ შესაძლოა უფრო ფართოდაც გავიანბროთ და საერთოდ ნებისმიერი განსხვავებული ენობრივი კოდების შერწყმის სახით წარმოვიდგინოთ. მაგალითად, დეტექტივის შერწყმა მედიევისტიკასთან - შუასაუკუნეების შემსწავლელ მეცნიერებასთან; ამგვარი შერწყმის შედეგია უმბერტო ეკოს რომანი „სახელი ვარდის“ და ა.შ. საერთოდ, ყოველივე ეკლექტური, განსხვავებულთა აღრევაზე დამყარებული ხელოვნება, თავისი არსით, ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი და ა.შ. „კოდირების“ ნიმუში გახლავთ“¹.

რამაი ნინო ხარატიშვილის შემოქმედების, როგორც პოსტმოდერნისტული მწერლის ესოდენი ხიბლი? პირადად ჩემთვის ყველაზე ღირებულია ის, რომ რა თემზე და რა ჟანრშიც არ უნდა წერდეს, მწერლის ამოსავალი წერტილი არის ადამიანი, უდიდესი სიყვარული და ინტერესი ადამიანის მიმართ. ამ მხრივ, ის, რა თქმა უნდა, არც პირველია და არც უკანასკნელი, მაგრამ ძალიან თვითმყოფადია, ხედვისა და დაკვირვების მისეული კუთხით. იგი თანაბარი დამაჯერებლობით ქმნის სხვადასხვა ასაკის, სქესის, წარმომავლობის, მრწამსის, სხვადასხვა ეპოქის გმირებს. ნინო არ მიეკუთვნება იმ ავტორებს, რომლებიც მხოლოდ

¹ ქარუმიძე, პოსტსაბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი. <https://demo.ge/index.php?do=full&id=814>.

მათივე თანამედროვე ეპოქის ამსახველები არიან. ის დროსა და სივრცეში მოგზაურობს, ზუსტად გრძნობს და გადმოსცემს იმ დროისა და სივრცის ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ მახასიათებლებს. ინტელექტით, ცოდნითა და პროფესიონალიზმით შეიარაღებული, მდიდარი წარმოსახვისა და უტყუარი ინტუიციის მეშვეობით, ფანტასტიკის ჟანრის ფილმის გმირივით, აწმყოდან ხან წარსულში გადაეშვება და ხან მომავლისკენ უჭირავს გეზი. ეს არაა შემთხვევითი. მისი ორი პროფესია ძალიან მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან იმ თვალსაზრისით, რომ არადრამატურგიულ ნაწარმოებებშიც კი, ამბავი, მოვლენათა რიგი, პერსონაჟები და ასე შემდეგ, ისე ნათლად წარმოუდგება მკითხველს, თითქოს ხორცშესხმულს ხედავდეს. ეს ნინოს, როგორც დრამატურგისა და რეჟისორის გავლენაა ლიტერატურაზე. რაც მისი სიტყვის ძალას უფრო ამდიდრებს, უფრო წყალივით მდინარესა და ჩამორევს ხდის. მწერალი ერთნაირად კარგად იცნობს, ოდესღაც, რკინის ფარდის ორივე მხარეს არსებულ სამყაროს, მათი პოლიტიკური შეხების წერტილებიანად.

ნინო ხარატიშვილმა თავისი შემოქმედებით არამარტო ლიტერატურა გაამდიდრა საოცარი არქეტიპებით, არამედ სცენური გმირების გაღერეაც. განსაკუთრებით ბევრი საინტერესო, სხვადასხვა ასაკის ქალი-პერსონაჟი შესძინა სცენას, რითაც, ჩემი აზრით, ფასდაუდებელი სამსახური გაუწია თანამედროვე თეატრს და განსაკუთრებით, ქალ მსახიობებს, რომელთა სასცენო-სათამაშო არეალი გაცილებით უფრო მწირია მსოფლიო ლიტერატურაში, ვიდრე მამაკაცი გმირებისა (პერსონაჟებისა). ამასთან ერთად, იგი თანაბარი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით უდგება მთავარსა და მეორეხარისხოვან გმირებს. მის შემოქმედებაში ძნელად თუ ნახავთ „ნახევარფაბრიკატებს“. პატარა მარცვალაც კი, თავის თავში მნიშვნელოვნებას ატარებს და საერთო სურათხატის შექმნას ემსა-

ხურება.

ის, რომ ნინო ხარატიშვილის შემოქმედება მოიცავს დრამატურგიასა და რომანს, ჟანრისა და ლიტერატურის ყველა წესის ფლობით, სცდება ერთ კონკრეტულ ეპოქას და იტევს ყველა ზოგადსაკაცობრიო საკითხს, ათვლის წერტილად წარმოაჩენს ადამიანს, მისი უსამღვრო შინაგანი სამყაროთი, მებრძოლი თუ ბედს მინდობილი ბუნებით, ღრმა ფსიქოლოგიური პორტრეტებით, რის მაგალითადაც, თუნდაც მხოლოდ მისი რომანი, გერმანულ ენაზე დაწერილი – „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ გამოდგება (რომანი ქართულად თარგმნა ნინო ბურდულმა), ავტორს პრაქტიკულად კლასიკოსი მწერლების რიგში აყენებს და მსოფლიო ლიტერატურულმა საზოგადოებამაც არ დააყოვნა, ამ ნაწარმოებში ავტორს უკვე მიღებული აქვს არაერთი ჯილდო. მათ შორის, პრესტიჟული ბერტოლტ ბრეხტის პრემია (2018 წელს), ფრიდრიხ შილერის სახელობის პრემია (2019 წელს) და სხვა.

სწორედ, ამ ლიტერატურულ ვერსიას, რომელიც ავტორის შვიდი წიგნით (მერვე წიგნი ცარიელია. ამ წიგნის ფურცლები ჯაშების ბოლო, მერვე თაობის წარმომადგენელმა – ბრილკამ უნდა შეავსოს.) არის მკითხველისთვის მოწოდებული: პირველი 7 წიგნი ეძღვნება მისი დიდი ბაბუის – შოკოლადის ფაბრიკანტის და მისი შთამომავლების ცხოვრების აღწერას. ეს წიგნებია: 1. სტასია, 2. ქრისტინე, 3. კოსტია, 4. კიტი, 5. ელენე, 6. დარია, 7. ნიცა. ბრილკას გარდა, ჯაშების ყველა თაობის ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს შოკოლადის ფაბრიკანტის საიდუმლო რეცეპტით დამზადებული „ცხელი შოკოლადი“, რომელიც რომანის ლაიტმოტივია და ვერტიკალურ, კოჭერენტულ პარადიგმას ქმნის და, რომელსაც დაეყრდნო ჰამბურგის თეატრის რეჟისორი იეტე შტეკელი იულია ლოხტესა და ემილია ლინდა ჰაინრიხის მიერ შექმნილი ადაპტირებული ვერსიით და წარმოადგინა ჰამბურგის თეატრის² სცენაზე, რომლის

2 1843 წელს, როდესაც შარლ მორისს ჰამბურგში თეატრის დასაარსებლად ოფიციალური უფლება მისცეს, მას სერიოზული პიესების დადგმა აეკრძალა – სხვა სახელმწიფო თეატრების ინტერესების დასაცავად. მორისმა თეატრს კომედიის ძველბერძნული მუზის სახელი, თალია დაარქვა. თეატრის კარი პირველად 1843 წლის 9 ნოემბერს გაიღო, ზუსტად იმ შენობის გადაღმა, სადაც დასი დღესაც დაფუძნებულია. იოაჰიმ ლუქსი 2009 წლიდან „თალიას“ მხატვრული ხელმძღვანელია. მან თეატრის პირველივე სეზონზე ბრწყინვალე რეჟისორების „გადაბრება“ მოახერხა – ლუკ პერსევალი, ნიკოლას შტემანი, იან ბოსსე, დიმიტერ გოჩევი მხოლოდ ნაწილია ამ სახელებიდან. ლუქსი თავისი ნამუშევრებით ცდილობს, კულტურებს, სოციალურ კლასებსა და სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებს შორის ურთიერთგაგებას შეუწყოს ხელი. იმავე მიზანს ისახავს საერთაშორისო ფესტივალი „მსოფლიოსათვის – ლე-სინგის დღეები“. ეს ფესტივალი თეატრ „თალიაში“ ტარდება 2010 წლიდან ყოველწლიურად – იანვრის ბოლო-

მსოფლიო პრემიერა 2017 წლის 8 აპრილს შედგა³. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში, ტექსტის ადაპტაცია მოხდა მხოლოდ სტრუქტურულად, ანუ მას მიეცა ინსცენირების ფორმა, სხვა მხრივ, რეჟისორი, დამდგმელ ჯგუფთან ერთად, ზუსტად აღწერს და მიყვება ამბავს ისე, როგორც ამას თავად ნინო ხარატიშვილი სთავაზობს მკითხველს. სპექტაკლი გვიყვება საბჭოთა რეჟიმის მომხრეებსა და ფუნქციონერებზე, ასევე მათ კრიტიკოსებზე, რომელთაც რეპრესიული აპარატი დევნის, გულაგში ასახლებს და კლავს. კომუნისტური რეჟიმს მსხვერპლად ეწირებიან რეჟიმის მომხრეები: ქრისტიანე მეუღლე რამაზ იოსებიძე, რომელიც უშიშროების სამსახურის თანამშრომელი და ლ. ბერიასთან დაახლოებული პირია. ის თავისი შეფის აღვირახსნილობის გამო ცოლს სამუდამოდ ამახინჯებს, თავად კი, ლავრენტი ბერიას ნაჩუქარი იარაღით იკლავს თავს. კომუნისტური რეჟიმის ერთგული მსახურია გიორგი ალანიაც – ბერიას უკანონო შვილი, რომელიც აცნობიერებს, რომ დამნაშავე მამისა და რეჟიმის დანაშაულებრივი ქმედებების თანამონაწილეა. კოსტია, კომუნისტური რეჟიმის თავდადებული და ერთგული მსახური, თავისი ბრწყინვალე სამხედრო კარიერის ბოლოს ხვდება, რომ ჯანმრთელობა და სიცოცხლე ფუჭად შესწირა იმპერიას, რომელსაც იგი ათწლეულების მანძილზე ემსახურებოდა. კომუნისტური იდეოლოგიის საწინააღმდეგო შეხედულებების გამო ასახლებენ და კლავენ კიტის მეგობარ მარიამს, სოფიო, ანდრო, მიქა და მირო ერისთავებს. რეჟიმს ეწირება კიტისა და ანდროს ჯერ კიდევ უშობელი ბავშვი, რომელსაც დედის მუცლიდან ამოკვეთენ, რადგან ის ქვეყნის მტრის შვილია. შემოქმედებითმა ჯგუფმა ზუსტი აქცენტებით, გამომსახველობითი ფორმითა და ემოციით, მაყურებელი კიდევ ერთხელ შეგვიყვანა „ტკივილის“ იმ სამყაროში, რომელსაც, თითქოსდა, მხოლოდ ჩვენ, ყოფილი საბჭოთა კავშირის მკვიდრ-

ნი თუ ჩაგვადებოდით, რაც ამ წყობამ მიაყენა მასში მყოფ მაცხოვრებლებსა და საზოგადოებას. გერმანელი და ზოგადად, ევროპელი მკითხველ/მაყურებლისთვის კულტურისა და ემპირიული რეალობისათვის „უცხო“ სამყაროა, რაც ამ უცხოთან ურთიერთობის, მისი ადეკვატური რეცეფციისა და კრიტიკული რეფლექსიის საშუალებას აძლევს. რომანი, ისევე როგორც სპექტაკლი, მსოფლიოს სთავაზობს გაეცნოს მისი კულტურის მიღმა არსებულ, განსხვავებულ ქართულ და რუსულ კულტურებს და ეს განსხვავებული აღიქვას და გაიზიაროს. ხარატიშვილისეულ ვერსიას რეჟისორი იეტე შტეკელი მაყურებელს მულტიკულტურული აზროვნებით სთავაზობს და მოიცავს სამივე კულტურის, აზროვნების თავისებურებებს, ქცევის კონვენციებს, ეროვნულ და ენობრივ რეალიებსა და სიმბოლოებს. სცენური გარემო, სადაც მოქმედება ვითარდება, უმეტესად, წითელ და შავ ფერთა გამაშია გადაწყვეტილი. რაც უკვე სიმბოლო/მეტაფორაა მაყურებლისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გერმანელი რეჟისორის სპექტაკლი, თავისი გამომსახველობითი ფორმითა და სტრუქტურით გვახსენებს ბერტოლტ ბრეხტისეულ თეატრს, „დიალექტიკურ თეატრად“ წოდებულს. როგორც ცნობილია, ბრეხტის ფილოსოფიის ფორმირებაზე ჰეგელის შეხედულებებმა და მარქსის ფილოსოფიამ უდიდესი გავლენა მოახდინა. ბრეხტმა დაგმო არაკრიტიკული სახის თეატრის და დრამის დეფორმირებული შედეგები, როგორცაა, მაგალითად, ბურჟუაზიული დრამა და ნაციტური გერმანიის მიერ ლიტერატურულ ტექსტებზე აგებული იდეოლოგიური დამახინჯებები. ამის შემდეგ, მან მიზნად დაისახა სათეატრო ხელოვნების პოლიტიზება. ბრეხტი აშკარა პარალელს ავლებს ნაციტურ გერმანიასთან და თვითონაც ამბობს, რომ „პარალელი აშკარაა“.⁴ რაც, საკმაოდ ზუსტი და სწორი რეჟისორული ხერხია, ორმაგი კოდირება, სიმულაცია, დეკონ-

დან თებერვლის პირველი რიცხვების ჩათვლით. მათი პროგრამის თემები და პიესები იმ ტენდენციას ასახავს, როდესაც ადამიანის გონება გარე სამყაროში თავისი ადგილით უფროა დაკავებული, ვიდრე შინაგანი, ფსიქოლოგიური სამყაროთი. ეს მკაფიო მესიჯია. ჰამბურგს მსოფლიოს თეატრალურ ხელოვნების ნიმუშებზე ახლა ხელი ადვილად მიუწვდება. ჩვენი მიზანი საერთაშორისო თეატრის ქალაქის – კოსმოპოლიტური კულტურის პლატფორმის შექმნაა, <https://www.hamburg.com/explore/theatre/13512962/thalia/>

3 (მონაწილეობენ: ლისა ჰაგმაისტერი, ფრანციშკა ჰარტმანი, მირკო კრაიბიში, მარი ლიოკერი, კარინ ნოიჰაუზერი, ბარბარა ნიუსი, სებასტიან რუდოლფი, მაია შონე, ანდრე შიმანსკი; კოსტიუმების დიზაინი – პაულინ ჰიონერსი; სასცენო დიზაინი – ფლორიან ლიოხე; ვიდეო – ზაზა რუსაძე; ქორეოგრაფია – იოჰან სტეგლი; მუსიკალური გაფორმება/ადაპტაცია – მარკ ბადური)

4 <https://www.bbc.co.uk/bitesize/guides/zwmvd2p/revision/1>

სტრუქცია, კარნავალიზაცია, რაც დამახასიათებელია ისეთი ნაწარმების სცენაზე გასაცოცხლებლად, როგორც ნინო ხარატიშვილის რომანი „მერვე სიცოცხლეა (ბრილკას)“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნაწარ-

მობის კანონიკური ესთეტიკის გათვალისწინებით აშკარაა და შენარჩუნებულია „კონფლიქტის პოეტიკა“, რომელიც სახოვნად და პოსტმოდერნული თეატრალური „კანონებით“ გარდაისახა სცენაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ქარუმიძე ზ. „პოსტსაბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი“. <https://demo.ge/index.php?do=full&id=814>.
- <https://www.bbc.co.uk/bitesize/guides/zwmvd2p/revision/1>
- <https://www.hamburg.com/explore/theatre/13512962/thalia/>

WOMEN AND THE THEATRICAL ART (Nino Kharatishvili's Novel "The Eighth Life" [For Brilka] on the Stage of the Thalia Theater in Hamburg)

Tamar Tsagareli

Keywords: Drama, women and theatrical art

In the second half of the 20th century, a broad cultural current called postmodernism emerged, equated with the "tired," "entropic" (with an uncertain era), where the eschatological ("end of the world") mood prevails. Its main feature has become an aesthetic mutation, an eclectic mix of styles. As is well known, the specifics of postmodernist aesthetics imply an unconventional understanding of classical traditions, neglecting intellectual closure and self-centered experiments. From art it requires emotion, the depiction of powerful levers of influence on the senses. All methods are acceptable to achieve this goal, including the use of technical advances.

"The first and foremost principle of postmodernist culture is so-called double coding, convergence and merging of two different, inconsistent linguistic codes (in the broadest sense), discourse, stylistics. The term belongs to British architect and art historian Charles Jenks, who noted that postmodernist architecture is based on a fusion of classical tradition and modernist avant-garde. Hans-Georg Gadamer, the father of philosophical hermeneutics, was still pointing to such a future trend in art and culture. Future art should be able to and the classics contribute to the avant-garde. Postmodernism also speaks of this language of double coding, both classical and avant-garde languages; but "double coding." For example, the combination of detective with medieval studies - the science of medieval studies; The result of such a merger is Umberto Eco's novel *The Name of the Rose*, and so on. In general, all eclectic, art based on a mixture of different, in its essence, double, triple, quadruple, etc. Is an example of "coding."¹

What is the charm of Nino Kharatishvili's work as a postmodernist writer? For me personally, the most valuable thing is that no matter what topic and in what genre

she writes, the starting point of a writer is a person, the greatest love and interest in a person. In this respect, she is certainly neither the first nor the last, but he is very original in terms of his vision and observation. It creates with equal conviction the heroes of different ages, genders, origins, beliefs, of different eras. Nino does not belong to those authors who only reflect their modern era. She travels through time and space, accurately feeling and conveying the philosophical and psychological, political and social characteristics of that time and space. Armed with intellect, knowledge and professionalism, with a rich imagination and unmistakable intuition, like the protagonist of a fantasy film, he sometimes moves from the present to the past and sometimes to the future. This is no accident. Her two professions are very closely related to each other in the sense that even in non-dramatic works, the story, the sequence of events, the characters, and so on, are so clearly presented to the reader as if they see her embodied. This is the influence of Nino as a playwright and director on literature. Which, in the power of her word, enriches it, makes it more like a river and drags it down. The writer is equally well acquainted, once upon a time Nino Kharatishvili enriched not only literature with amazing archetypes, but also a gallery of stage heroes. Especially many interesting, female characters of different ages added to the stage, thus, in my opinion, rendered invaluable service to the modern theater and especially to the female actors, whose stage-play area is much scarcer in world literature than the male characters (characters), with the world on both sides of the Iron Curtain, with the points of their political touch. At the same time, she treats the main and secondary characters with equal attention and responsibility. You can hardly find "semi-finished products" in his work.

¹ <https://demo.ge/index.php?do=full&id=814>. „პოსტსაბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი. ზურაბ ქარაიშიძე“.

Even small grains carry meaning in their heads and serve to create a common picture. At the same time, she treats the main and secondary characters with equal attention and responsibility. You can hardly find “semi-finished products” in her work. Even small grains carry meaning in their heads and serve to create a common picture.

The works of writer Nino Kharatishvili occupies an important place in the world of modern drama or fiction in general. Awarded many times with prestigious literary prizes, her texts have been translated into many languages and the plays have been successfully staged on various stages in Europe. What is so charming about Nino Kharatishvili’s literature? For me personally, the most valuable thing is that no matter what topic and in what genre he writes, the starting point of the artist is the person, the greatest love and interest in the person. In this respect, she is certainly neither the first nor the last, but she is very original in terms of her vision and observation. She creates with equal conviction the heroes of different ages, genders, origins, beliefs, of different eras. She travels through time and space, accurately feeling and conveying the philosophical and psychological, political and social characteristics of that time and space. Armed with intellect, knowledge and professionalism, with a rich imagination and unmistakable intuition, like the protagonist of a film, she sometimes moves from the present to the past and sometimes to the future. The intersection of time and space was presented by the writer Nino Kharatishvili in the novel *The Eighth Life (For Brilka)* conveyed with precise accents and documentary accuracy by German director Jette Steckel on stage at the Thalia Theater in Hamburg, which world premiere took place on April 8, 2017.²

Georgia, 1900: The birth of Stasia, daughter of a respected chocolatier, triggers the start of a narrated family saga that spans six generations, through all of the revolutions and wars of the 20th century through to the present day. *The Eighth Life (For Brilka)* is a revolutionary, opulent novel. With magical realism creative group tells stories about adaptation, betrayal and resistance, love, hate and the will to live (and survive). Kharatishvili’s Novel depicts the rise and fall of communism from before the revolution through to Europe post-reunification, from the perspective of a Georgian family, who are as ensnared as they are conflicted by the totalitarianism, tragedies and upheavals of

this God-forsaken 20th century.

The history of a family and the history of a man at the turn of an era—this is the quintessence of the novel and the performance. Not only do voices from the past come to life in it, but the signs of this very past are visible in our present life. This is the view of a person looking at the past, at times with nostalgia, at times with horror, seeking to understand the roots and causes of the world’s challenges and one person’s difficulties. This is a man who always feel alone before the judgment of History and Time.

Without a doubt, the book might become a movie. Its real historical figures and fictional characters are united by what has befallen them: the difficult times of revolutions and wars. The novel shows everyday life and political intrigue, ordinary people and the Powers That Be, and the plot catches its reader and immerses them into the past completely.

The author of the novel chose as her epigraph the words of Russian poet Anna Akhmatova (also a victim of the era), from her poem *Requiem*: “No, not under the vault of alien skies/And not under the shelter of alien wings/I was with my people then/There, where my people, unfortunately, were./Stabat mater dolorosa bent over each of the heroes of the play, as if.” The characters’ stories are so vivid and fascinating that any of them—the women (Stasia, Christine, Kitty, Elene, Daria, and Nisa) or the man (Kostya)—could be a separate novel or performance piece. The characters are convincingly and reliably played onstage. In the five hours of the performance, you feel that you can treat them like your family circle. The novel conveys a powerful message about the human spirit and endurance.

From London to Berlin, Vienna to Tbilisi, St. Petersburg to Moscow, the romantic and tragic fate of members of the Georgian family is closely connected with the dark episodes of 20th-century history and is peppered with magical realism. The novel hurts; it has a lot of pain. This story tells of betrayal and resistance, love and hate, dreams and disappointments, a strong desire to live and survive amid social upheaval, suicide, abortion, torture, and horror. Losses, triumphs, sorrows, and great love are opposed to the sweep of history.

Hamlet says that “the time is out of joint,” and it certainly is for these people who survived the Civil War and World War II, the coming to power of the Communists,

² <https://www.hamburg.com/explore/theatre/13512962/thalia/>

the Stalinist repressions, the Iron Curtain, the struggle for Georgian independence, the collapse of the USSR, the difficult birth of post-Soviet democracy. Together with them, readers (and viewers) love and suffer, find and lose, deceive and forgive, find the strength in themselves to move on further and just live.

Jette Steckel and stage designer Florian Lösche created an original stage space. The scene is dominated by three colors of the era: red, black, and white. The symbolism of these colors continues in costumes created by Pauline Hüners. At the back of the stage hangs a giant carpet with a traditional Georgian ornamentation, about sixty meters long. On that makeshift screen, thanks to video projections, the outlines and portraits of the era appear. The carpet is like a newsreel screen. Documentary footage related to each era (video by Zaza Urushadze) is shown in parallel with the actions of the actors on stage. Military scenes, demonstrations, happy childhood days in the Soviet Union, and communist marches—hours pass in the theatre hall, but, in fact, it is decades. At the tragic moment of the terrible pages of world history, the carpet will curl up and fill the room into a river of blood, which will become a river of tulips then. To this day, Georgians bring these flowers to memorials in memory of Tbilisi tragedy victims. Each family member is a separate thread of bright or dark color, uniting into a common picture—a canvas of history. Fate and threads of fate intertwine here.

However, the production's external effects, the detailed choreography (Yohan Stegli), and an abundance of video overwhelm the audience's perception, overloading it. Actors get lost in the multilayered space of video, sound, and dance, and the essence of the text becomes hazy. Kharatishvili's text as adapted by Julia Lochte is artistic and needs no extra context; it creates vivid images in the audience's imagination. But the performance is so extravagant that the director simply does not leave space

for spectators' imagination. Obviously, the creators of the play did their best to convey a family epic and a chronicle of the century through the spectacular, but they simply lost a sense of measure. The performance is full of emotional paths and various visual effects. The rhythm of the prose is broken.

The performance develops in a zigzag way, but the repetitions of artistic techniques is tiring. Where the fort sounds are in the novel, the stunning fortissimo is in the play. It seems that the actors rush from one extreme to another. But what makes a strong impression is that the novel does not work onstage. The director tries to assault the audience's emotions as much as possible, but in the end, the audience just gets tired, as the scenes are layered on top of each other. A repulsive pathos arises in the play, one that is not in the book. The fever and desire for entertainment here, at times, replace the intimacy of family drama.

It is also important that at this time of tense political relations between Russia and Georgia, this performance has found its way to the public, recalling that, despite difficult past events, there is always hope for a peaceful future. Meanwhile, a bit earlier, in Kutaisi, Georgia, a rally was held against the arrival of the troupe of the Moscow-based Nikitsky Gate Theatre. Director of the theatre Mark Rozovsky brought the production *Forget-Me-Nots* based on the play by Lyudmila Ulitskaya to Kutaisi. The artistic director of the Kutaisi State Drama Theatre Kote Abashidze, in turn, called the rally "the result of an information vacuum." According to him, "the creative friendship between the two theatres has nothing to do with politics."

The great Russian historian Klyuchevsky once said: "History does not teach anything, but only teaches somebody a lesson for ignorance."³ The actors on the stage revolve in a frantic whirlwind of history, and an idea strikes then freezes: if only not to repeat the hellish circles of the past, just not to repeat...

REFERENCES:

1. ქარუმიძე ზურაბ. „პოსტსაბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი“. <https://demo.ge/index.php?do=full&id=814>.
2. <https://www.bbc.co.uk/bitesize/guides/zwmvd2p/revision/1>
3. <https://www.hamburg.com/explore/theatre/13512962/thalia/>

³ <https://www.bbc.co.uk/bitesize/guides/zwmvd2p/revision/1>